“GAME ZONE” სტრუქტურა

„GAME ZONE“-ის სტრუქტურა წარმოადგენს გეიმიფიკირებულ მოდელს (სტრუქტურა რომელიც თამაშის ელემენტებს შეიცავს), რომლის მიზანია მოახდინოს ცენტრის წევრთა პიროვნული განვითარება, უზრუნველყოს მათი ჩართულობა ცენტრში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თვითშეფასების კომპეტენციის გამომუშავებაში დაეხმაროს და გახდეს აქტიური მოქალაქე, რომელიც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთვება. აღნიშნული გეიმიფიცირებული სტრუქტურის დანიშნულებაა უზრუნველყოს „GAME ZONE“-ის მდგრადი განვითარება და აღმოფხვრას საკადრო საჭიროებები.

გეიმიფიკაციის მოდელი, რომლის ხალგრძლივობაა 1 წელი ხელს უწყობს ცენტრის წევრის 8 ძირითადი კომპეტენციის გაუმჯობესებას, კერძოდ:

- ✔ სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია;
- ✔ შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია;
- ✔ დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია;
- ✔ ურთიერთობის კომპეტენცია (საბაზო);
- ✔ კულტურული გამოხატვის და კულტურათაშორისი ურთიერთობის კომპეტენცია;
- ✔ ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია.

სტრუქტურა წარმოადგენს საფეხურეობრივ ჩართულობის სამ მიდგომას:

- ✔ FOLLOWING
- ✔ CONTRIBUTING
- ✔ LEADING

აღნიშნული მიდგომები გამოხატავენ Game ზონაში ვიზიტორთა აქტივობის და ჩართულობის ზომას.

FOLLOWING - მოსარგებლეები (ბენეფიციარები), ვიზიტორები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ GAME ზონის ნებისმიერ აქტივობაში/თამაშებში, სარგებლობენ სივრცით და სერვისებით, გააჩნიათ მხოლოდ მოხმარების ინტერესი, არიან გულშემატკივრები და მიმდევრები, აზიარებენ და იწონებენ ცენტრის აქტივობებს, რეკომენდაციას უწევენ მას თანატოლებთან და არ გააჩნიათ GAME ზონის მიმართ კონკრეტული და გრძელვადიანი პასუხისმგებლობები.

CONTRIBUTING - წევრი (შერჩეული პირი), რომელიც სარგებლობს ცენტრის სერვისებით, თანამშრომლობს GAME ზონასთან

სხვადასხვა მიმართულებით, დებს მის პირად წვლილს (დროის, მატერიალური, არამატერიალური ან ინტელექტულუარი) შენატანით, იღებს ცენტრში არსებულ

საჭიროებებზე პასუხისმგებლობებს, შემოაქვს და ახორციელებს ინიციატივებს, გეიმზონაში ინტერგრაციის თვალსაზრისით მუშაობს მოხალისეებთან, მონაწილეობს „GAME ზონის“ მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

LEADING - ლიდერი (არჩეული კონსილიუმის წევრი), რომელიც ხელმძღვანელობს და ჩართულია ცენტრის მართვაში. წარმოადგენს GAME ზონას სხვადასხვა ინსტიტუციებში. შეიმუშავებს დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, იდეებს, ინიციატივებს. ჩართულია GAME ზონის განვითარებისა და მდგრადობის სტრატეგიის შემუშავებაში და განხორციელებაში.

GAME ზონის სტრუქტურა სამი საფეხურისაგან შედგება:

- ✔ პირველი საფეხურს მოხალისეები წარმოადგენენ. ისინი არიან ცენტრის მთავარი მოსარგებლეები და სამიზნე ადუტორია. მათ შეუძლიათ შეუზღუდავად ისარგებლონ GAME ზონის-ის სერვისებით და ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში. მოხალისეობა უვადოა და არ გააჩნია შემზღუდველი პირობები გარდა ასაკობრივისა - 14-29 წლის.
- ✔ მეორე საფეხურს წარმოადგენენ წევრები. წევრები არიან ადამიანები, რომელსაც გააჩნიათ სურვილი არამარტო ცენტრის მოსარგებლეების იყვნენ, არამედ თავადაც ჩაერთონ ცენტრის მართვაში, განსაზღვრონ მისი მიმართულება და განახორციელონ ინიციატივები. წევრებს GAME ზონის დამფუძნებელთა საბჭო არჩევს, სპეციალური კონკურსის წესით. მასში მონაწილეობა შეუძლია ყველა ცენტრის მოხალისეს, თუ ის შესარჩევი კონკურსის პირობებს აკმაყოფილებს. სულ დამფუძნებელთა საბჭო 15 წევრს შეარჩევს. წევრები ერთიანდებიან “წევრთა პალატა” -ში. წევრები ყოველ სამ თვეში აირჩევიან კონკურსის საფუძველზე. წევრები ასევე ირჩევენ GAME ზონის ლიდერებს (კონსილიუმის წევრებს).

- ✔ მესამე საფეხურს წარმოადგენს კონსილიუმი, ხოლო კონსილიუმის წევრებს ეწოდებათ ლიდერები. ლიდერებს ერთი წლის ვადით ირჩევს „წევრთა პალატა“. კონსილიუმის წევრები იკრიბებიან რათა GAME ზონაში წამოჭრილი ნებისმიერი კონფლიქტური თუ წვავე, მნიშვნელოვანი ამოცანა კონსესუსის გზით გადაჭრან. კონსილიუმი ახორციელებს კოლეგიურ მართვას.

GAME ზონას ასევე წარმოდგენილია „დამფუძნებლებით“.დამფუძნებელთა საბჭოს წევრბები არიან: RICDOG წარმომადგენლები, ბაღდათის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით

დამფუძნებელი შესაძლოა გახდეს ლიდერიც. დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარეა ლანა თოთაძე.

GAME ზონის სტრუქტურა პიროვნული განვითარების მიდგომას ეფუძნება, თუმცა ამავდროულად ის პერმანენტულ ქოუჩინგს მოითხოვს, რომელთა ფუნქციას დამფუძნებლები ასრულებენ. ლიდერები (კონსილიუმის წევრები) არიან წევრების სუპერვაიზერები ხოლო წევრები მოხალისეების ვაიზერები. გარდა ამისა, შეიძლება აღნიშნული პროცესი თანასწორგანმანათლებელთა სისტემადაც წარმოვიდგინოთ.

სტატუსი

სტატუსები განსაზღვრავენ ჩართული ადამიანების როლს და ფუნქციას. სტატუსი უზრუნველყოფს საკადრო ზრდის უწყვეტ ჯაჭვს და ჰქმნის ადამიანური რესურსების მდგრადობის პერსპექტივას.

ქოუჩი (ახალგაზრდული მუშაკი) - სტრუქტურაში წარმოდგენილი არის როგორც დამფუძნებელთა საბჭოს წევრი. ახორციელებს მისთვის განგებ გაწერილ ამოცანებს. იხილეთ ახალგაზრდული მუშაკი.

სუპერვაიზერი (ლიდერი) - სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც "კონსილიუმის წევრი", ჩართულობის მიდგომაში როგორც LEADING-ი. მუშაობს წევრებთან, მათ გააქტიურებაზე, ჩართულობის ამაღლებაზე და უნარების დახვეწაზე.

ვაიზერი (წევრი) - სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც "წევრთა პალატის" წევრი. ჩართულობის მიდგომაში ესადაგება CONTRIBUTING-ს. მუშაობს მოხალისეებთან, მათ გააქტიურებაზე, მოტივირებაზე, ჩართულობის ამაღლებაზე და წახალისებაზე.

თამაშის ელემენტები სტრუქტურაში:

ვარსკვლავები

მოხალისეები, წევრები და ლიდერები აგროვებენ ვარსკვლავებს.

ყველა თამაში, წიგნი და რესურსი, რომელიც GAME ზონაშია წარმოდგენილი მათი გამოყენებისთვის ვარსკვლავთა ოდენობას მოიცავს. მოხალისეს, წევრს ან ლიდერს თუ შესაბამისი ოდენობის ვარსკვლავი არ გააჩნია ვერ ითამაშებს ამა თუ იმ თამაშს ან ვერ გამოიყენებს რაიმე რესურს.

ვარსკვლავები შეგროვების სისტემა:

ბონუს ვარსკვლავი - 50 ვარსკვლავი ეძლევა ყველა პირველად მოსულ მოხალისეს.

ვარსკვლავი ენიჭება თამაშში გამარჯვებულს;

ვარსკვლავი ენიჭება სტატუსში - ვაიზერი, სუპერვაიზერი;

ვარსკვლავი ენიჭება ინიციატივის განხორციელებაში;

ვარსკვლავი ენიჭება დისციპლინაში ცენტრში;

ვასრკვლავი ენიჭება მოხალისეების მოყვანაში;

ვარსკვლავი ენიჭება განსაკუთრებულ კრეატიულობაში და ჩართულობაში;

ვარსკვლავი ენიჭება აქტივობებში მონაწილეობისათვის.

ვარსკვლავებს ანიჭებენ ახალგაზრდული მუშაკები.

ZONA PARTY

თვეში ერთხელ იმართება ინტელექტუალური თამაშების საღამო, მაგალითად ციტატების ბრძოლა, რა სად როდის და სხვა. აღნიშნულ ღონისძიებაზე ვლინდება ნომინაციები: ცენტრის ყველაზე აქტიური მოხალისე, წევრი და ლიდერი. მათ გადაეცემათ ბონუს ვარსკვლავები, სიმბოლური პრიზები და სიგელები.

ობლიგაცია

ობლიგაცია ეს არის სპეციალური საჩუქარი, რომელიც ანიჭებს მფლობელს უფლებას გაიტანოს ცენტრში არსებული სამაგიდო თამაში გარეთ და ათამაშოს იგი თანასკოლელებს, მეზობლებს და ოჯახის წევრებს. ასევე ობლიგაცია ანიჭებს მის მფლობელს უფლებას სასაჩუქრედ გადასცეს ის ნებისმიერ სხვას ცენტრში ვარსკვლავთა სპეციალური რაოდენობის მიხედვით ნებისმიერი თამაშის სათამაშოდ. ობლიგაცია გაიცემა დამფუძნებლების მიერ განსაკუთრებული აქტივობისთვის.

ფორტუნა

ფორტუნა ეს არის სპეციალური ბარათი, რომელიც უფლებას აძლევს ადამიანს ყოველგვარი საფეხურის გავლის გარეშე მოხვდეს "კონსილიუმის წევრად". თუ კონსილიუმი უკვე არჩეულია, დაემატოს არსებულ შემადგენლობას.

ფორტუნას დამფუძნებლები შემთხვევითობის პრინციპით ანიჭებენ. ფორტუნა ადამიანს შესაძლებელია რომელიმე თამაშში შეხვდეს. ადამიანმა შეიძლება უარი თქვას

ფორტუნაზე, მაგრამ სანაცვლოდ დამფუძნებლების მიერ დაწესებული ვარსკვლავთა ოდენობა უნდა გადაიხადოს.

ჯეკ პოტი

ადამიანს, რომელსაც შეხვდება ჯეკ პოტი მიიღებს 1 თვიან ულიმიტო ბარათს ცენტრში ვიზიტისა და თამაშებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

ჯეკ პოტი შეიძლება ნებისმიერ ნივთში, თამაშში ან გათამაშებაში შეხვდეს მონაწილეს.